

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

გენერალურ დირექტორს ბატონ ა. ჯ.-ს

მის.: ქ. თბილისი, ვაგზლის

მოედანი #2

ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და

მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 14¹-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო ა.,

2015 წლის 2 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს მომართა ე.მ.-მ (შემდგომში მომჩივანი). მას ჰყავს ორი შვილი, რომელთაგან ერთ-ერთს აღენიშნება აუტისტური სპექტრი, ეპილეფსიის მძიმე ფორმა და მისგან გამოწვეული ქცევის დარღვევები. მომჩივანი მიიჩნევს, რომ ავტობუსში დაექვემდებარა დისკრიმინაციულ მოპყრობას მძღოლის მხრიდან, ვინაიდან მძღოლმა მისი შვილის უნებლიე ფეხების მოძრაობაზე განუცხადა, რომ თუ ბავშვი ავადმყოფი იყო, საავადმყოფოში დაეწვინათ.

სახალხო დამცველმა ჩაატარა ზეპირი მოსმენა მხარეთა მონაწილეობით, რა დროსაც მხარეთა შორის მორიგება ვერ იქნა მიღწეული.

ავტობუსით გადაადგილების დროს, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების უფლებების დარღვევის და სავარაუდო დისკრიმინაციული დამოკიდებულების შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, საქმე სრულყოფილად შეესწავლა და გამოეკითხა სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლები და უფლებადამცველი ორგანიზაციები.

1. ფაქტობრივი გარემოებები

მომჩივანი განცხადებაში აღნიშნავს, რომ 2014 წლის 16 სექტემბერს თბილისის მუნიციპალური ავტობუსით მგზავრობდა თავის ორ არასრულწლოვან შვილთან ერთად, (აუტისტური სპექტრისა და ეპილეფსიის მძიმე ფორმის მქონე 6 წლის ს.ჭ. და 3 წლის მეორე შვილი). ისინი ისხდნენ ავტობუსის შუა კარის უკან მდებარე სკამზე, რომელსაც წინა მხარეს დამონტაჟებული ჰქონდა სპეციალური დაფა (ფიცარი). მომჩივანის შვილს, რომელსაც აუტისტური სპექტრი და ეპილეფსიის მძიმე ფორმა აქვს, ქცევის დარღვევიდან გამომდინარე დაეწყო ფეხების უნებლიე მოძრაობა, სკამის წინ მდებარე ფიცრის დაფაზე ბაკუნი, რაც იწვევდა ხმაურს. მომჩივანი უთითებს, რომ ხმაურის გამო ტრანსპორტის მძღოლმა – გ. ზ.-მა დაიყვირა „რა გჭირთ, გააჩერეთ ბავშვი“, რაზეც მან ბოდბით მოხდით განუმარტა, რომ ბავშვის ქცევა გამოწვეული იყო მისი დიაგნოზის ფორმით და შეუძლებელი იყო მყისიერი დარეგულირება. ვერ აუკრძალავდა ბავშვს ქცევას, რადგან ამას შესაძლოა უფრო მეტად გაელიზიანებინა და მასზე ცუდად ემოქმედა. მის მიერ მიცემული განმარტების მიუხედავად, მძღოლმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ე. მ.-სა და მის ბავშვებს. კერძოდ, გინებითა და უშვერი სიტყვებით მოიხსენია ისინი. გარდა ამისა, მძღოლმა მათ განუცხადა, რომ ავადმყოფის ადგილი საავადმყოფოშია.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ მან მეორე დღესვე მიმართა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ და ითხოვა მომხდარ ინციდენტზე სასწრაფო რეაგირება.

კომპანიამ გამოკითხა მძღოლი, რომელმაც ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ ინციდენტის დღეს მას მოესმა ბრაზუნის ხმა უკანა მხრიდან. ძრავის შესამოწმებლად ავტობუსი გააჩერა და მძღოლის კაბინაში დაბრუნებისას ხმაურის გაგრძელების გამო მაღალი ხმით დაიყვირა, რომ გაჩერებულიყო ვინც აბრაზუნებდა. ერთ-ერთმა მგზავრმა მას უთხრა, რომ უკან ავადმყოფი იჯდა და ის ხმაურობდა, რაზეც გ.ზ.-მ უპასუხა, რომ ავადმყოფი უნდა იყოს საავადმყოფოში. აღნიშნული ფრაზის წარმოთქმისას მას უკნიდან მოესმა ქალის ყვირილისა და წყევლის ხმა, რაც დიდხანს გრძელდებოდა, საბოლოოდ კი მე-9 საავადმყოფოსთან ჩავიდა ქალი და ორი ბავშვი. მძღოლი მისი მხრიდან გინების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს და აღნიშნავს, რომ მისი დიდი სამუშაო სტაჟის განმავლობაში იგი მუდამ თავაზიანად ეპყრობოდა მგზავრებს და მათთვის შეურაცხყოფა არასოდეს მიუყენებია.

თბილისის სატრანსპორტო კომპანიის გენერალური დირექტორის, 2014 წლის 22 სექტემბრის, #01/3-4/2317 ბრძანების თანახმად მძღოლს, აღნიშნული ფაქტის გამო გამოუცხადეს შენიშვნა მძღოლის თანამდებობრივი ინსტრუქციის 2.11 პუნქტის

დარღვევის გამო, რაც გულისხმობს მგზავრთა მიმართ თავაზიანობის ვალდებულების დარღვევას, რაც გამოიხატა მძღოლის მიერ ნათქვამ ფრაზაში – ავადმყოფის ადგილი საავადმყოფოშია.

თბილისის სატრანსპორტო კომპანიის წარმომადგენელმა ზეპირ მოსმენაზე განმარტა, რომ 2016 წლიდან იგეგმება ახალი ადაპტირებული ავტობუსების შემოყვანა. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სატრანსპორტო კომპანიაში მძღოლებისათვის სპეციალურად მოწვეული ტრენერის მეშვეობით ტრენინგები არ ტარდება. სამსახურში მიღებისას მძღოლებს მათი უფროსები უხსნიან შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკას, მათ უფლებებსა და ინსტრუქციით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რასაც ერთგვარი ტრენინგის სახე აქვს. აგრეთვე მძღოლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და აძლევენ საჭირო რჩევებს. მან ასევე დააზუსტა, რომ სატრანსპორტო კომპანიის მძღოლებზე მიმდინარეობს რეალური კონტროლი და მსგავსი ინციდენტის განმეორების შემთხვევაში მათ დაეკისრებათ შინაგანაწესითა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული სანქციები. 2015 წლის სექტემბრიდან იგეგმება კომპანიის ავტო-პარკის ეტაპობრივი განახლება და ავტობუსებში ვიდეო კამერების დამონტაჟება, რითაც უფრო გაკონტროლდება მგზავრთა მომსახურების ხარისხი.

ავტობუსით გადაადგილების დროს, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების უფლებების დარღვევის და სავარაუდო დისკრიმინაციული დამოკიდებულების შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, საქმე სრულყოფილად შეესწავლა და გამოეკითხა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სხვა ბავშვების მშობლები და უფლებადამცველი ორგანიზაციები.

ერთ-ერთი აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის მშობლის, ი. მ.-ის, განმარტებით, ავტობუსის მძღოლის მხრიდან იყო შემთხვევა, როდესაც მის შვილს მისცეს შენიშვნა იმის გამო, რომ ხელით ეხებოდა ბილეთის ასაღებ ყუთს. ეს შენიშვნა გამოითქვა არასასურველი ტონითა და მიმართვის უხეში ფორმით.

ს. კ. აღნიშნავს, რომ დაახლოებით 1.5–2 წლის წინ, N61 ავტობუსით მგზავრობდა მის აუტისტური სპექტრის მქონე შვილთან ერთად. მძღოლმა მათ არ მისცა საკმარისი დრო ავტობუსში ასასვლელად, რის შედეგადაც კარებში მოაყოლა იგი და საფრთხე შეუქმნა როგორც მას, ასევე მის შვილსაც. ქალბატონი ს.-ს განმარტებით, აუტისტური სპექტრის გამო, მის შვილს უფრო მეტი დრო სჭირდება ავტობუსში ასასვლელად და შესაბამისად, ჩამოსასვლელად, მძღოლები კი შეზღუდული გრაფიკის გამო, გაუმართლებლად აჩქარებენ მათ. ასევე, დაახლოებით სექტემბრის დასაწყისში, N 51

ავტობუსის მძღოლმა არ მისცა მას და მის ბავშვს საკმარისი დრო ავტობუსიდან ჩამოსასვლელად და ბავშვს მიმართა შეურაცხმყოფლად. კერძოდ, რუსულ ენაზე მიაძახა: – „ჩადი დროზე, წავიდა ავტობუსი, არანორმალური ხომ არ ხარ შენ?!“ ს.კ.-მ ასევე აღნიშნა, რომ მგზავრების მხრიდან არის ცალკეულ შემთხვევებში აღმფოთება, რაც მოსდევს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვისათვის დამახასიათებელ აუტოსტიმულატორულ მოძრაობებს, რაც გულისხმობს ხელების ანდა ფეხების უნებლიე, მონოტონურ მოძრაობას, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ხმაურის გამომწვევია. სხვა მგზავრებისთვის კი, ძნელი გასაგებია, თუ რატომ არ უკრძალავს თანმხლები პირი ბავშვს აღნიშნულ მოძრაობებს.

მ.მ.-ის განცხადებით, დაახლოებით 2013 წლის მაისში, მისი არასამთავრობო ორგანიზაცია „მარიანის“ მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში, პოლონელი ვიზიტორები ჩამოსულები იყვნენ თბილისში, რომლებმაც თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართეს საჯარო ლექცია მხედველობის პრობლემების შესახებ. სულ იყო 8 ვიზიტორი, აქედან 3 უსინათლო ადამიანი. აღნიშნული სამი უსინათლო ადამიანიდან ორს ახლდა სპეციალური ალიკაპითა და ამოსაცნობი ნიშნით (პოლონურ ენაზე შესრულებული წარწერა – გამცილებელი ძაღლი) აღჭურვილი გამცილებელი ძაღლები. თბილისის მეტროპოლიტენის სადგურ ავლაბარში, ტურნიკებთან მდგარმა მეტროს თანამშრომელმა არ შეუშვა ისინი მეტროში და განუცხადა, რომ ამხელა ძაღლებით მეტროში შესვლა აკრძალულია. გამცილებელი ძაღლები კი ზოგადად და მოცემულ შემთხვევაშიც საკმაოდ მოზრდილი ზომისანი იყვნენ. მათ აუხსენს მეტროს თანამშრომელს, რომ ეს იყო სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლები, რომლებმაც იცოდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოქცევის წესები და საფრთხეს არ წარმოადგენდნენ საზოგადოებისთვის. ამასთანავე, ისინი ასრულებდნენ თვალის ფუნქციას უსინათლოთათვის. მიუხედავად აღნიშნული განმარტებისა, მეტროპოლიტენის თანამშრომელმა არ შეუშვა ისინი, რადგან, მისი განცხადებით, მას დააჯარიმებდნენ ამის გამო და ეს უკანასკნელნიც იძულებულნი იყვნენ ტაქსით ესარგებლათ.

მეორე შემთხვევა მოხდა იმავე პოლონელ უსინათლოებთან დაკავშირებით, 2–3 დღის შემდეგ, როდესაც ისინი მგზავრობდნენ ავტობუსით კოლმეურნეობის მოედნიდან თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისკენ. ამოსულმა კონტროლიორმა მათ განუცხადა, რომ ავტობუსში ამხელა ძაღლების ამოყვანა აკრძალული იყო. თუმცა, მას შემდეგ რაც მას აუხსნეს ძაღლების ფუნქციისა და დანიშნულების შესახებ და მგზავრებმაც მხარი დაუჭირეს

უსინათლოებს, კონტროლიორმა დართო ნება ძალღებთან ერთად ემგზავრათ. მძლოლი არ ჩაერთა აღნიშნულ ინციდენტში.

2. სახალხო დამცველის კომპეტენციის შესახებ გამოსცეს ზოგადი წინადადება მოცემულ შემთხვევაში

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახალხო დამცველი ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით.

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით საქართველოს არაერთი სამართლებრივი აქტით აკრძალულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაცია და ამასთან, სახელმწიფომ გაერთოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რატიფიცირებით იკისრა ვალდებულება, რომ უზრუნველყოფს ამ პირთა ღირსეულ გარემოში ცხოვრება, არ არსებობს ორგანო, რომელიც სატრანსპორტო მომსახურების გაწევისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არსებულ უთანასწორო მოპყრობაზე მოახდენს რეაგირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოსცეს ზოგადი წინადადება განსახილველ შემთხვევაში.

3. სამართლებრივი შეფასება

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ უფლება იცხოვრონ დამოუკიდებლად და იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, რომ თანასწორად ხელმისაწვდომი იყოს მათთვის საჯარო სივრცეში არსებული სერვისები. აღნიშნული მიდგომა არის დისკრიმინაციის აკრძალვის გამოძახილი და მასზე უარი უნდა განიხილებოდეს დისკრიმინაციულ მოპყრობად, მიუხედავად იმისა, აკრძალვა მომდინარეობდა კერძო თუ საჯარო პირისაგან.¹

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ მოქმედებების მსოფლიო პროგრამა და სტანდარტული წესები ხაზს უსვამს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ისეთივე შესაძლებლობების მიცემას, როგორც ქვეყნის სხვა მოქალაქეებს აქვთ, რათა მიღწეული იყოს თანასწორობა, როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ ასპექტში.²

გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტი აღნიშნავს, რომ შშმ ბავშვები დღემდე არიან გარიყულები საზოგადოებისგან. ბარიერი მათი შეზღუდული შესაძლებლობა კი არაა, არამედ სოციალური, კულტურული, დამოკიდებულების და ფსიქოლოგიური ასპექტების ერთობლიობა. ბევრ საზოგადოებაში საკმაოდ მძლავრად ფესვგადგმულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიმართ არსებული სოციალური სტიგმა, ცრურწმენები, სტერეოტიპები, ნეგატიური დამოკიდებულებები, რაც იწვევს ბავშვების გაუცხოებას.³

კომიტეტმა მიუთითა, რომ საქართველოს არ აქვს სრულყოფილი პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განვითარებისთვის აუცილებელ საჭიროებებზე, მათ შორის მათ მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრისაკენ.⁴

¹ Committee on the Rights of Persons with Disabilities, Eleventh session, 31 March–11 April 2014, General comment No. 2

² Standard Rules on the Equalization of Opportunities for Persons with Disabilities, para.6; World Programme of Action Concerning Disabled Persons, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.un.org/disabilities/default.asp?id=26#5>; <http://www.un.org/disabilities/default.asp?id=23>;

³ UN Committee on the Rights of the Child (CRC), General Comment No. 9 (2006): The Rights of Children with Disabilities CRC/C/GC/9, V, C., ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G07/407/02/PDF/G0740702.pdf?OpenElement>;

⁴ Committee on the rights of child, Concluding Observations, Georgia (2008), CRC/C/GEO/CO/3, გვ.10, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC/C/GEO/CO/3&Lang=En;

სახალხო დამცველის აზრით, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი მშობლებისადმი დამოკიდებულება, დღესდღეობით არც თუ ისე სახარბიელოა. გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ საზოგადოება მათ შვილებს ეპყრობა არა როგორც თანასწორ სუბიექტებს, არამედ, ხშირ შემთხვევაში, როგორც დამატებით ტვირთს, რაც ხშირად გაღიზიანებას, ხანაც სიბრაულს იწვევს. ისინი დაბრკოლებებს აწყდებიან ყოველდღიურად, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. საზოგადოება არ ფლობს სათანადო და ობიექტურ ცოდნას სხვადასხვა კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, ასევე, ამ ადამიანებისა და მათი ოჯახების საჭიროებებზე. აღნიშნული კი იწვევს მცდარი შეხედულებების და სტერეოტიპების ჩამოყალიბებას, ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მარგინალიზაციას და მათ აღიქმას როგორც ნაკლებად მნიშვნელოვან და ნაკლები პოტენციის მქონე ბავშვებად. წლების განმავლობაში ფორმირებული სტერეოტიპული შეხედულებები სერიოზულ ფსიქოემოციურ ტრავმას აყენებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და მათ ოჯახებს.

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს მშობლის განსაკუთრებულ როლს ბავშვის აღზრდასა და განვითარებაში და მიაჩნია, რომ მშობლის სტაბილური ემოციური მდგომარეობა და პოზიტიური განწყობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სრულფასოვანი ჩამოყალიბებისათვის, რათა ხელი შეუწყოს ბავშვის საზოგადოებაში ინტეგრაციას. საზოგადოების დამოკიდებულება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ცხოვრების მიმართულებას. მაშინ როდესაც, მშობელი აწყდება წინააღმდეგობასა და დამცირებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში, ის პრევენციის მიზნით შვილს არიდებს მსგავს გარემოს, რათა დაიცვას საზოგადოების ფსიქოლოგიური ზეწოლისაგან და შეურაცხყოფისაგან, შედეგად კი ბავშვი ხდება გარე სამყაროსაგან იზოლირებული. საზოგადოებაში აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვის გაყვანა შესაძლოა სერიოზული სტრესის ქვეშ აყენებდეს მშობელს, ვინაიდან გარშემომყოფებისათვის გაუგებარი და მიუღებელია ქცევა, რომელიც აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვმა შეიძლება გამოავლინოს საჯაროდ. მსგავსი მიდგომა აფერხებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის საზოგადოების სრულყოფილ წევრად ჩამოყალიბების პროცესს და კიდევ უფრო ხელს უწყობს მათ მიმართ არსებული სტიგმების შენარჩუნებას.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ხელმიუწვდომელი საზოგადოებრივი ტრანსპორტი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების გარიყვის ყველაზე მთავარი

ფაქტორი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს მათი სერვისზე, განათლებაზე, ჯანდაცვაზე და სხვა ფუნდამენტურ უფლებებზე ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელებას.

ხელმისაწვდომობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით, წარმოადგენს ზოგადად ხელმისაწვდომობის უფლების სოციალური ასპექტს. ხელმისაწვდომობა უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის კონტექსტში, არამედ ასევე, როგორც საზოგადოების განვითარების განუყოფელი ნაწილი. არასათანადო ხელმისაწვდომობა ყოველთვის გამოწვეულია ცნობიერების დაბალი დონით.⁵

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე, გაზრდის სენსიტიურობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ურთიერთობაში და უბიძგებს სოციუმს, რომ არ გარიყონ და აგრესიულები არ იყვნენ მათ მიმართ.

წინამდებარე საქმის შესწავლამ ცხადყო, რომ თბილისის სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომლები სათანადოდ არ ფლობენ ინფორმაციას შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვთა საჭიროებების შესახებ. გამოკითხულთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მძღოლებს არა აქვთ ინფორმაცია, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს ჩვეულებრივზე მეტი დრო სჭირდებათ ავტობუსში ჩასვლა/ამოსვლის უზრუნველსაყოფად, რაც მძღოლების მხრიდან აღიქმება განგებ გაჭანურებად და გაღიზიანების მიზეზი ხდება. აგრეთვე, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისთვის იმანენტურ ქმედებას წარმოადგენს აუტოსტიმულატორული მოძრაობები, რომელთა კონტროლი ვერ ხერხდება, რაც რთულად გასაგები არის გარშემომყოფთათვის, მათ შორის სატრანსპორტო კომპანიის ცალკეული თანამშრომლებისთვის. ყოველივე ამას კი შედეგად ახლავს მათი არასათანადო პირობებში მომსახურება, კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა.

როგორც ერთ–ერთი გამოკითხული აღნიშნავს, თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომელმა უარი განუცხადა უსინათლო პირებს გამცილებელ ძალებთან ერთად მეტროს სადგურში შეშვებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ძალები აღჭურვილი

⁵ Committee on the Rights of Persons with Disabilities, General Comment No. 2 (2014), CRPD/C/CG/2, I, § 4, გვ. 2, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G14/033/13/PDF/G1403313.pdf?OpenElement>;

იყვნენ სპეციალური ალიკაპიტა და ამოსაცნობი ნიშნით (პოლონურ ენაზე შესრულებული წარწერა – გამცილებელი ძაღლი) აღჭურვილი გამცილებელი ძაღლები. თავად უსინათლოებიც სპეციალური საბელით ატარებდნენ ძაღლებს. მოცემულ შემთხვევაში, მეტროს თანამშრომელი ხელმძღვანელობდა შრომის შინაგანაწესითა და სხვა შესაბამისი სამსახურებრივი აქტებით, სადაც არ არის გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევები, შესაბამისად თანამშრომლებს უწევთ დაემორჩილონ ხისტად დადგენილ წესებს.

ე.მ.-ს, ს.კ.-ს, ი.მ.-სა და მ.მ.-ს მიერ აღწერილ შემთხვევებში ნათლად წარმოჩინდა, რომ თბილისის სატრანსპორტო კომპანიის წარმომადგენლები არასათანადოდ ფლობენ შშმ პირების საჭიროებებსა და მათთვის მომსახურების გაწევის სპეციფიკას, რის გამოც ვერ აცნობიერებენ, რომ მათ, სხვა პირებთან შედარებით, მეტი დრო ესაჭიროებათ მგზავრობის პროცესში და მათი აუტოსტიმულატორული მოძრაობები გამოწვეულია მათი მდგომარეობიდან და მიზნად არ ისახავს ვინმეს გაღიზიანებას ანდა შეურაცხყოფის მიყენებას.

სატრანსპორტო კომპანიაში მძღოლებისათვის სპეციალურად მოწვეული ტრენერის მეშვეობით არ ტარდება ტრენინგები. სამსახურში მიღებისას მძღოლებს მათი უფროსები უხსნიან შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკას, მათ უფლებებსა და ინსტრუქციით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, აგრეთვე მძღოლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და აძლევენ საჭირო რჩევებს.

თბილისის სატრანსპორტო კომპანიიდან გამოთხოვილი „მძღოლის თანამდებობრივი ინსტრუქციისა“ და კომპანიის შრომის შინაგანაწესი არ შეიცავს რაიმე საგამონაკლისო დებულებებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მომსახურების გაწევის წესისა და პირობების შესახებ. მძღოლები ამ მხრივ შეზღუდულნი არიან მხოლოდ მგზავრთათვის მომსახურების თავაზიანად გაწევის ვალდებულებით, რაც, როგორც რესპოდენტთა გამოკითხვამ აჩვენა, არ არის საკმარისი ეფექტის მატარებელი. თბილისის სატრანსპორტო კომპანია მძღოლებს უდგენს ხისტ გრაფიკს, რომლისგან გადახვევაც, თუნდაც შშმ პირთათვის მომსახურების გასაწევად ობიექტურად უფრო მეტი დროის გამოყოფის შემთხვევაშიც, შესაძლოა მათ მიერ სამუშაოს არაჯეროვან შესრულებად ჩაითვალოს და უარყოფითად შეფასდეს მისი მუშაობა.

გარდა ამისა, ბავშვები და შეზღუდული შესაძლებლობების პირები განეკუთვნებიან განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს და მათ მიმართ სერვისის განხორციელებისას,

სერვისის მიმწოდებელს უნდა ეკისრებოდეს განსაკუთრებული ზრუნვის ვალდებულება.⁶

სახალხო დამცველის აზრით, „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შეუძლია პოზიტიური როლი ითამაშოს, საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობასთან დაკავშირებული სტერეოტიპებისა და სტიგმისაგან თავისუფალი გარემოს ჩამოყალიბებაში და ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას, რაც მიღწევადი იქნება ადაპტირებული და ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტის არსებობის შემთხვევაში. ამასთან სახალხო დამცველი მიესალმება თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ინიციატივას/წამოწყებას 2016 წლიდან ახალი ადაპტირებული ავტობუსების შემოყვანასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ შეიმუშავოს პოლიტიკა/სამოქმედო გეგმა, რომელიც საზოგადოებრივ ტრანსპორტში დასაქმებულ ადამიანებს გაუადვილებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაითვალისწინონ სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებები და მიაწოდონ სათანადო სერვისი. მნიშვნელოვანია „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მძღოლებისა და კონტროლიორებისათვის, მართლშეგნების ამაღლების მიზნით, ტრენინგების ჩატარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების შესახებ.

შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ საკითხებზე ტრენინგებისა და სენსიტიური დამოკიდებულების გაზრდისათვის სამუშაო შეხვედრების ჩატარება არის ეფექტური გზა, რომ დაიმსხვრეს ბარიერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და იმ პირებს შორის, რომელიც საჯარო სფეროში უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებას.⁷

ასევე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია მოხდეს მომსახურების სტანდარტის იმგვარი მოდიფიცირება, რომელიც საშუალებას მისცემს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს თავისუფლად და უსაფრთხოდ იმგზავრონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ამისათვის შესაძლებელია, რომ „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ შეიმუშავოს ტრანსპორტის მძღოლებისათვის მოქნილი

⁶ Authorised Version No. 189A Transport (Compliance and Miscellaneous) Act 1983, Article 165. ხელმისაწვდომია – [http://www.legislation.vic.gov.au/Domino/Web_Notes/LDMS/LTObject_Store/LTObjSt8.nsf/DDE300B846EED9C7CA257616000A3571/03F1EC88E4396E27CA257D0E00017C33/\\$FILE/83-9921aa189A%20authorised.pdf](http://www.legislation.vic.gov.au/Domino/Web_Notes/LDMS/LTObject_Store/LTObjSt8.nsf/DDE300B846EED9C7CA257616000A3571/03F1EC88E4396E27CA257D0E00017C33/$FILE/83-9921aa189A%20authorised.pdf)

⁷ Peggy Mayer, Ed. D. & Shella Brenner, *Abuse of Children with Disabilities*, 10 Child. Legal Rts. J. 16, 1989, გვ. 20.

გრაფიკი, რაც საშუალებას მისცემს დასაქმებულ პირებს, მუშაობის დროს გაითვალისწინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მგზავრის საჭიროებები.

ამასთან, სახალხო დამცველი გამოთქვამს მზადყოფნას, რომ დაეხმაროს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ ტრენინგების ჩატარებაში, რომელიც ორიენტირებული იქნება მოწყვლადი ჯგუფების შესახებ მართლშეგნების დონის ამაღლებაზე, კომპანიაში დასაქმებული პირებისათვის.

აღნიშნული ზომების გატარება ხელს შეუწყობს ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ტოლერანტული და თანასწორი გარემოს ჩამოყალიბებას და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიმართავს შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიას შემდეგი ზოგადი წინადადებებით:

- შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ იმ თანამშრომლებს, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ მგზავრებთან, ჩაუტარდეთ საგანმანათლებლო ტრენინგები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სპეციალური საჭიროებების შესახებ;
- შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ შეიმუშაოს მგზავრთა გადაყვანის მოქნილი გრაფიკი, სადაც გათვალისწინებული იქნება სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის მომსახურების გაწევისას სტანდარტული გრაფიკის საჭიროებისამებრ გაზრდა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი უსაფრთხო და კომფორტული მგზავრობა
- შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ შეიმუშაოს მგზავრთა გადაყვანის მოქნილი გრაფიკი, სადაც გათვალისწინებული იქნება სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის მომსახურების გაწევისას სტანდარტული გრაფიკის იმგვარი ცვლილება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აღნიშნულ პირთათვის, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი დროის გამოყოფა უსაფრთხო და კომფორტული მგზავრობის უზრუნველსაყოფად.